

სუფთა ბაიეში

ჩვენი აზრვეანია!

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, პერიოდული გამოცემა №3, 2016 წელი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოხირების
შეთანხმების განხორციელების გზები

83.3

ნარჩენების მართვა/ ნაგავსაყრდები მიმონილვა

83.17





საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების გზები

ნარჩენების მართვის საქმორი შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ვაჭალითვა

შესავალი

ნარჩენების მართვა წარმოადგენს საქართველოს წინაშე მდგარ როგორც ეროვნული, ისე რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის გამოწვევას. უკანასკნელ წლებში პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან, აღნიშნული მიმართულებით, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხების მოსაწესრიგებლად 2012 წელს შეიქმნა შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, 100% სახელმწიფო წილით, რომელიც მართვაში გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

კომპანიის მიზანია მყარი ნარჩენების მართვის ერთიანი ინტეგრირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. მის სამოქმედო არეალს წარმოადგენს საქართველოს რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო - ზემო სვანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი) არსებული არასახიფათო მუნიციპალური ნარჩენების 53 მოქმედი ნაგავსაყრელის მართვა (საერთო ფართობი - 1 786 190 მ²). კომპანიის იურისდიქციას არ განეკუთვნება ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაგავსაყრელების მართვა. კომპანიის მისიას წარმოადგენს, ნარჩენების განთავსებისა და გადამუშავების შედეგად გარემოზე და ადამიანზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, საქართველოს რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვა: არსებული ნაგავსაყრელების მოწესრიგება, მათი ეტაპობრივი დახურვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული არსახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მშენებლობა.



თბილისის ღია ნაგავსაყრელი

აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მართვა საქართველოში, ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, განსხვავებულ სტრუქტურას ექვემდებარება. თბილისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა წარმოადგენს შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის“ პასუხისმგებლობას. რეგიონების შემთხვევაში ნარჩენების მართვის პროცესზე პასუხისმგებლობას ინანილებენ მუნიციპალიტეტები და შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კი - შ.პ.ს. „სანდასუფთავება“ და მუნიციპალიტეტები.

დღესათვის ქვეყანაში ოფიციალურად 56 არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელია, მათ შორის, მოქმედია 38. სურათზე მოცემულია საქართველოში არსებული ნაგავსაყრელების მდებარეობა.



სურათი 1. საქართველოში რეგულირებული ნაგავსაყრელები

წყარო: „მყარი ნარჩენების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“, 2014

წინამდებარე სტატიაში განხილულია, ნარჩენების მართვის სექტორში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული საქვეუნეებო ორგანიზაციის პასუხისმგებლობა/ საქმიანობა და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გზები.

1. არსებული საკანონმდებლო ჩარჩო

მყარი ნარჩენების მართვა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ:

- „საქართველოს კონსტიტუცია“;
- „ნარჩენების მართვის კოდექსი“;
- კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“;
- კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“;

- "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულება;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები და ნორმები“
- კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“
- კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“;
- კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
- „გარემოსთვის ზიანის მიყენების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების შესახებ“;

საერთაშორისო კონვენციები:

- ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების საერთაშორისო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“;
- როტერდამის კონვენცია „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“;
- სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“;
- ორჰუსის კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული საკანონმდებლო მოთხოვნები ნარჩენების მართვის სფეროში **ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისათვის** მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნიან.



ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონით „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996, მუხლი 5) გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებად განსაზღვრულია: "ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი"-საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას და "რეციკლირების პრინციპი" - საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს და ქიმიურ ნაერთებს;

ნარჩენების აღდგენა და ნარჩენების განთავსება, გარდა არსახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა, ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და, შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას (საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (გზნ), 2008).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ (2005) შესაბამისად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვაში ძირითადი როლი და პასუხისმგებლობა (ნარჩენების მოგროვება და ტერიტორიის დასუფთავება, ნარჩენების გატანა) ეკისრებათ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობების დასუფთავების სამსახურები/ოპერატორები. კომპანიის შერჩევა/კონტრაქტების დადება დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების შეგროვებისა ან/და მათი ნაგავსაყრელებამდე ტრანსპორტირების მომსახურებაზე ხორციელდება ტენდერის გზით, ხოლო ოფიციალური ნაგავსაყრელების ოპერირება წარმოადგენს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებულ შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ პასუხისმგებლობას.



საქართველოს კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ (2010) განსაზღვრულია ნარჩენების მართვაზე მოსაკრებლის ზღვრული ოდენობა მოსახლეობის, იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

სტრატეგიული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010 – 2017 წწ., რომლის მიხედვით (თავი 3.3. მუნიციპალური ნარჩენების მართვა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სისტემების ეფექტიანი მართვის მექანიზმის ჩამოყა-

ლიბება მოიცავს: ნარჩენების მართვის სფეროს მონესრიგებას, შესაბამისი სტანდარტების დადგენასა და მომსახურების გაუმჯობესებას; საუკეთესო პრაქტიკისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მომსახურების საფასურის გაანგარიშების სტანდარტული მეთოდოლოგიის შემუშავებას; ნარჩენების მართვის სფეროს კომერციალიზაციის ნახალისებას; ნარჩენების დახარისხების სისტემების დანერგვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინფექციის გავრცელებისა თუ გარემოს დაბინძურების მაღალი რისკი, რაც უკავშირდება ყველა სახის ნარჩენის ერთად ტრანსპორტირებასა და დეპონირებას.

ასევე, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნულ პროგრამაში 2012-16 (NEAP-2)- თავი 4. ცხრილი 4.6. მიზნები და ღონისძიებები-აღნიშნულია, რომ 2012-2016 წლებისათვის „გრძელვადიან მიზანს“ ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა, ძველი ნაგავსაყრელების დახურვა კონსერვაციის ეტაპობრივი განხორციელება და ახალი, თანამედროვე ნაგავსაყრელების მშენებლობა წარმოადგენს.

ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-საქართველო 2020“ (გვ. 43) აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვანია, მყარი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების განვითარება და ევროკავშირის გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად ახალი სანიტარული ნაგავსაყრელების და გადამტვირთი სადგურების მშენებლობა; აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები მოიცავს: ქვეყნის მასშტაბით ახალი რეგიონული სანიტარული პოლიგონების და გადამტვირთი სადგურების რაოდენობის განსაზღვრას და შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას“.



წინააღმდეგობის განსახორციელებელი ნაგავსაყრედი

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირებული შეთანხმების დოკუმენტის ფარგლებში განხილულია და შეთანხმებულია ევროდირექტივების კონკრეტული მუხლები ნარჩენების მართვის სექტორში. ეს უკანასკნელი დეტალურად იქნება განხილული წინამდებარე დოკუმენტის მე-2-ე ნაწილში.

მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ „ნარჩენების მართვის კოდექსის“ (ძალაშია 2015 წლის 15 იანვრიდან) მიღება, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის დირექტივების

შესაბამისად. კოდექსით განისაზღვრა ნარჩენების მართვის ძირითადი პრინციპები, ნაგავსაყრელების კატეგორიები და მათ მიმართ მოთხოვნები, სახელმწიფო უწყებების კომპეტენციები და ზოგადი ვალდებულებები, გამკაცრდა სანქციები კანონის დარღვევაზე და განისაზღვრა შესამუშავებელი და მისაღები კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი და ა.შ.

ნარჩენების მართვის კოდექსით (**თავი II, მუხლი 6.**) განსაზღვრულია ნარჩენების მართვის სექტორში ძირითადი სახელმწიფო უწყებები:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (სამინისტრო), რომლის კომპეტენცია, ნარჩენების მართვის სფეროში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მონყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მონყობა და მართვა. აღნიშნული კომპეტენციის განხორციელება წარმოადგენს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის პასუხისმგებლობას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაა ნარჩენების ტრანსპორტით გადაზიდვის დარეგულირება, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად. ფინანსთა სამინისტრო, თავის მხრივ, შუამავალ რგოლს წარმოადგენს ფინანსურ ურთიერთობებში ნარჩენების მართვის კომპანიასა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის.



ნარჩენების გადამტვირთი სადგურში ყვარდნაში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენს სამედიცინო ნარჩენების მართვის დარეგულირება და კონტროლი. დღეისათვის მყარი ნარჩენების მართვის საქმიანობის განხორციელებისას კომპანია ეყრდნობა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებსა და ნორმებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციად განისაზღვრა, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, ცხოველური ნარჩენების მართვა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნების შემუშავება. კომპანიის მიზნებისა და ამოცანების შესრულებისას მნიშვნელოვანია აღნიშნულ სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობა, როგორც მშენებლობის ნებართვების გამცემ ორგანოსთან, რომლის საფუძველზეც კომპანი-

იას ეძლევა ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობის უფლება.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების მართვა (შეგროვება, ტრანსპორტირება), მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება. კომპანია მათთან მჭიდროდ თანამშრომლობს საკუთარი საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში.

როგორც უკვე აღინიშნა, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიზანს რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ევროპული სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა და ნაგავსაყრელების ოპერირების, მოსახლეობისა და ეკოსისტემების უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი სისტემების შექმნა წარმოადგენს.

დღესათვის კომპანია ახორციელებს 53 არსებული/ძველი ნაგავსაყრელის მართვას. აღსანიშნავია, რომ დამთავრებულია 27 ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა, 4 ნაგავსაყრელი შეჩერებულია, 13 დახურულია. კომპანიას აქვს 9 რეგიონული სამსახური, ნაგავსაყრელები აღჭურვილია ახალი ტექნიკით. ნაგავსაყრელებზე მონყობილია საკონტროლო-გამშვები ჯიხურები, დამონტაჟებულია სასწორები, პოლიგონის ოპერატორების მიერ მიმდინარეობს ნარჩენების აღრიცხვა და შემოღობილია პოლიგონების ტერიტორიის მთელი პერიმეტრი, რათა არ მოხდეს ობიექტებზე ადამიანებისა და შინაური ცხოველების მოხვედრა. დაგეგმილია ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების აშენება. სულ საქართველოს მასშტაბით 8-10 რეგიონული ნაგავსაყრელის ოპერირება, რომელთაც სრულად უნდა უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსება.

გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით) მიმდინარეობს „იმერეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი“, განხორციელების პერიოდი: 2014–2018.

ასევე KfW-ს მხარდაჭერით ხორციელდება „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი კახეთსა და სამეგრელო - ზემო სვანეთში“. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგების საუძველზე დაიგეგმება ახალი რეგიონული ნაგავსაყრელებისა და სატრანსფერო სადგურების მშენებლობა კახეთსა და სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონებში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერის ფარგლებში მიმდინარეობს (განხორციელების პერიოდი 2014 – 2018) “ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის“ პროექტი, რომლის მიზანია რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა ქვემო ქართლის რეგიონში, რომელიც მოემსახურება რეგიონის 5 მუნიციპალიტეტს.

2. ღირებულების აღწერა

ასოცირების შეთანხმება მოიცავს ბევრ სფეროს, მათ შორის, ნარჩენების მართვის სექტორს. შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ კომპეტენციის ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები მოცემულია ზოგადად VI კარში: თანამშრომლობის სხვა სფეროები, თავი 3. გარემოს დაცვა, მუხლი 302 „თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებას და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, რათა მოხდეს გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გამკლავება, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: (d) ნარჩენების მართვა“.

კომპანიის საქმიანობის სფეროს შეესაბამება 2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და ევრო საბჭოს 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ და დირექტივა N 1999/31/EC ნაგავსაყრელების შესახებ (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულებები.

2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ

ამ დირექტივის მთავარი მიზანია, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა განხორციელდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის საფრთხის შექმნის გარეშე. დირექტივაში მოცემულია ტერმინთა განმარტებები, ნარჩენების მართვის პოლიტიკის და კანონმდებლობის საფუძველი - 5 საფეხურიანი მართვის იერარქია, ასევე განმარტებულია ნარჩენების მართვის პრინციპები.

დირექტივა ყველა მონაწილე ქვეყანას ავალდებულებს, შეიმუშაოს ნარჩენების მართვის გეგმები, შემოიღოს ნებართვები ნარჩენების განთავსების ან აღდგენის ოპერაციების განხორციელებაზე, მოახდინოს ნარჩენების მონიტორინგი და რეგისტრაცია. დირექტივაში განმარტებული ერთ-ერთი პრინციპი „დამაბინძურებელი იხდის“ ავალდებულებს ნარჩენების წარმომქმნელს ან მფლობელს გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები.

პრაქტიკული ვალდებულებები მოცემულია AA-ს დანართ XXVI ნარჩენების მართვის ნაწილში წარმოდგენილი ევროდირექტივების შესაბამისად.

დირექტივა N 1999/31/EC ნაგავსაყრელების შესახებ (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი სპეციფიკაციის შესაბამისად

აღნიშნული დირექტივა განსაზღვრავს ნარჩენების სხვადასხვა კატეგორიებს და მათი განთავსების ოპერაციებს. დირექტივას შემოაქვს ნაგავსაყრელების სამი კატეგორია: სახიფათო ნარჩენების, არასახიფათო ნარჩენებისა და ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი.

დირექტივით განსაზღვრულია ნაგავსაყრელების მშენებლობის, ოპერირებისა და შემდგომი მოვლის ვალდებულებები; აგრეთვე, ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობის შემცირება სეპარაციის, გადამუშავებისა და მეორადი გამოყენების გზით.

3. განსხვავებების/საჭიროებების ანალიზი

ქვეყანაში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის. მიუხედავად ნარჩენების მართვის კოდექსის მიღებისა საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, შესამუშავებელია ნორმატივები, რის მიხედვითაც პასუხისმგებელი უწყებები იხელმძღვანელებენ მყარი ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განთავსების პროცესში.

განუსაზღვრელია ცალკეული ტიპის ნარჩენების (მაგალითად, ინერტული და სახიფათო) მართვაზე პასუხისმგებელი უწყება და სისტემაში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები, რაც სფეროში პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების გადანაწილების რეალურ პრობლემას ქმნის. მნიშვნელოვნად დაბალ დონეზეა მყარი ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემა. პრაქტიკულად არ ხორციელდება ნარჩენების სეპარაცია, ფრაგმენტულად მიმდინარეობს ნარჩენების გადამუშავება და მეორადი გამოყენება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის უფლებამოსილება არ მოიცავს საკანონმდებლო ბაზისა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას. ეს უკანასკნელი განეკუთვნება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციას. აღსანიშნავია, რომ კომპანიის კომპეტენციის რელევანტური დირექტივების იმპლემენტაციისათვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და დოკუმენტების მომზადების პროცესში კომპანიის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.

4. ღირაქტივების განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური ასაქმება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ კომპეტენციის ფარგლებში ასოცირების შესახებ შეთანხმების რეალიზებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია კომპანიაში ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, გარკვეული საკადრო ცვლილებების განხორციელება, კერძოდ: ნაგავსაყრელების მონიტორინგის სისტემის დანერგვის მიზნით კომპანიის აღჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (გადასატანი ხელსაწყოებითა და სტაციონალური ლაბორატორიით), კომპანიის დაკომპლექტება ნაგავსაყრელების გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი კვალიფიციური კადრებით. ასევე, მნიშვნელოვანია კომპანიის თანამშრომლებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი თემატური ღონისძიებების ორგანიზება, როგორცაა ევრო კავშირის ქვეყნების გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ტრენინგების, სასწავლო ტურების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების სახით.

5. ღირაქტივების ეფაქტურობის განხორციელების დასაბუთება

ღირექტივებით განსაზღვრული ვალდებულებებიდან შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ კომპეტენციის რელევანტური მუხლები მოცემულია ცხრილში.

ღირექტივის დებულება	დადგენილი დრო	უწყება
1. ხარჯების ამოღების მექანიზმის შემუშავება "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით (მუხლი 14)	2021 AA ძალაში შესვლიდან 7 წელი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ეკონომიკის სამინისტროებთან ერთად ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლები
2. ნებართვის სისტემის დანერგვა ობიექტებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების განთავსების ან აღდგენის ოპერაციებს და რომლებიც იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით (თ. IV)	2019 AA ძალაში შესვლიდან 5 წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მონაწილეობით
3. არსებული ნაგავსაყრელების პირობათა გეგმების შემუშავება (მუხლი 14)	2020 AA ძალაში შესვლიდან 6 წელი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

<p>4. განაცხადისა და ნებართვების სისტემის, ასევე ნარჩენების მიღების პროცედურების ჩამოყალიბება (მუხლი 5-7, 11, 12 და 14, გარდა მუხლის 7 (i) იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება 8 (a) (iv) მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს)</p>	<p>2019 AA ძალაში შესვლიდან 5 წელი</p>	<p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“</p>
<p>5. კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურების დანესება ნაგავსაყრელების ოპერირების ფაზაში და დახურვისა და შემდგომი მოვლის პროცედურები იმ ნაგავსაყრელებისათვის, რომლებიც არადაამაკმაყოფილებელია (მუხლი 12 და 13)</p>	<p>2020 AA ძალაში შესვლიდან 6 წელი</p>	<p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p>
<p>6. ხარჯთაღრიცხვის მექანიზმების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს ნაგავსაყრელის აშენებასა და ოპერირებას და, რამდენადაც შესაძლებელია, მის დახურვასა და შემდგომ მოვლას (მუხლი 10, გარდა მუხლის 8(a) იმ ნაწილისა, რომელიც ეხება 8(a)(iv) მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს)</p>	<p>2022 AA ძალაში შესვლიდან 8 წელი</p>	<p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ფინანსთა სამინისტრო</p>

6. ღირებულების განმარტების საკმაკული და უფუფუი

ნარჩენების მართვის სიტემის შეფასების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებული სანიტარული ნაგავსაყრელების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობის საკითხი მიზანშეწონილია რეგიონულ კონტექსტში იქნას განხილული („სანიტარული ნაგავსაყრელების ეროვნულ სამოქმედო გეგმა“, 2013,დონორი KfW).



უწინესი ნარჩენების სუწარჩელებისთვის

ამდენად, შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელებისა და მათთან დაკავშირებული სათანადო რაოდენობის გადამტვირთი სადგურების ქსელის განვითარება. როგორც უკვე აღინიშნა, დაგეგმილია იმერეთში, ქვემო ქართლში და აჭარაში რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა.

ქვეყნის მასშტაბით ახალი ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთი სადგურების მშენებლობა, ძველი ნაგავსაყრელების დახურვა, ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებების (კონტეინერები, მანქანები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა) შეძენა სავარაუდოდ განხორციელდება საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი სესხებით, რაც უნდა დაიფაროს გრძელვადიან პერიოდში დანახარჯების ეტაპობრივი ამოღების გზით.

საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობიდან გამომდინარე (9 რეგიონი 2 ავტონომიური რესპუბლიკა), ასევე მოქმედი თანამედროვე ნაგავსაყრელების რაოდენობისა (თბილისი, რუსთავი) და დაგეგმილი (იმერეთი და ქვემო ქართლი) რეგიონული ნაგავსაყრელების რაოდენობის გათვალისწინებით, ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების რაოდენობა სავარაუდოდ იქნება 8-10 ერთეული.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას ნარჩენების მართვის სფეროში - ნაგავსაყრელების მართვასთან დაკავშირებით - ექნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანმრთელობის **სარგებელი**, კერძოდ:

ევროდირექტივების შესაბამისად მონესრიგებული ნაგავსაყრელების ოპერირება უზრუნველყოფს:



ნარჩენების შეგროვების ტექნიკური აღჭურვილობა

- არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე შემოსული მუნიციპალური ნარჩენის აღრიცხვას, კონტროლს, მონიტორინგს და უსაფრთხოდ განთავსებას;
- ზედაპირული და ნაჟური წყლების დაგეგმილ მართვას და წყლის დაბინძურების პრევენციას;
- ნარჩენების შესაძლო ყველა ტიპის წვის პრევენციას და შესაბამისად, ნაგავსაყრელების მიმდებარედ გარემოს დაბინძურების (ჰაერში ემისიების) და ხანძრების გავრცელების საფრთხის თავიდან აცილებას;
- ნაგავსაყრელების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოს დაბინძურებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების რისკის შემცირებას;
- მოსახლეობის დასაქმებას ნაგავსაყრელებისა და სატრანსფერო სადგურების მართვის სისტემაში;
- უკონტროლოდ დაყრილი მუნიციპალური ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების შემცირებას და შესაბამისად მოსახლეობისა და ტურისტებისათვის საცხოვრებელი და დასასვენებელი პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

დირექტივის განხორციელების **ეფექტი** - ქვეყანაში შეიქმნება მნიშვნელოვანი საფუძველი:

- მართვლობის ეფექტური სისტემისა და ძლიერ ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე დაფუძნებით ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის;
- ნარჩენების მართვის სფეროსთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებულ მხარეებს შორის (სახელმწიფო და ადგილობრივი სტრუქტურები, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი მოსახლეობა) ეფექტიანი კომუნიკაციის განვითარების;
- ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფის, სწორად დაგეგმვისა და დონორების /ინვესტორების მოზიდვისათვის;
- მყარი ნარჩენების მართვის სფეროში მონინავე ტექნოლოგიების (მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაციისა და რეციკლირების პრაქტიკის) დანერგვისათვის ქვეყნის მასშტაბით;
- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და მართვის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობისათვის;



7. ღაინფაჩანსაბულ მხარაბთან კონსულტაციაჰი ღა ინფორმაციის შინოღაბა

ნარჩენების მართვის სფეროში კომპანიის კომპეტენციის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთობა ბიზნეს და აკადემიურ წრეებთან, პროფესიულ გაერთიანებებთან; ასევე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეებისათვის.

ღღეისათვის, კომპანია საქმიანობის განხორციელებისას თანამშრომლობს სხვადასხვა გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებასთან ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. დაგეგმილია აღნიშნული თანამშრომლობის გაგრძელება და გაღრმავება.

8. ღახმარების საქირობაბი

ქვეყანაში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ კომპეტენციის რელევანტური ღირექტივების (ღირექტივა N 1999/31/EC ნაგავსაყრელების შესახებ (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად და 2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2008/98/EC ღირექტივა ნარჩენების შესახებ) ღებულებების შესრულება შესაძლებელია კომპანიის შესაძლებლობების გაძღიერებითა და შესაბამისი ესპერტული და ფინანსური დახმარებით.

პრიორიტეტული არე	განსახორციელებელი ქმეღებები	ღახმარების ტიპი	ღახმარების წყარო შესრულების ღრო (AA-მიხეღვით)
მყარი ნარჩენების მართვის მღღრადი სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში	1. არსებული ნაგავსაყრელების შესაბამისობაში მოყვანის გეგმების შემუშავება 2. შესაბამისობის გეგმების განხორციელება 3. მაღალი რისკის შემცველი არსებული ნაგავსაყრელების დახურვა ევროსტანდარტებით	ტექნიკური ღახმარება ფინანსური ღახმარება ფინანსური ღახმარება	ღონორები N/A 1.09.2020
არსებული ნაგავსაყრელების დახურვის და დახურვის შემღღოში კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება	არასახიფათო ნაგავსაყრელების მონიტორინგის სისტემის შექმნა (მატერიულ-ტექნიკური ბაზა შესაბამისი გადასატანი ხელსაწყოებითა და სტაციონალური ლაბორატორიით)	ტექნიკური ღახმარება ფინანსური ღახმარება	ღონორები N/A 1.09.2020
ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა და ოპერირება	ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელებისა (4) და სატრანსფერო საღღურების აშენება და ოპერირება	ფინანსური ღახმარება	ღონორები 09.2022

<p>ნაგავსაყრელების მშენებლობის, ოპერირების, დახურვის, შემდგომი მოვლის ეფექტიანი ხარჯთაღრიცხვის მექანიზმების შემუშავება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამის მომზადება ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვის მიზნით 2. ხარჯების ამოღების მექანიზმის შემუშავება "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით 3. ეფექტიანი ხარჯთაღრიცხვის მექანიზმების შემუშავება ნაგავსაყრელების ყველა ფაზის გათვალისწინებით (მშენებლობა, ოპერირება, დახურვა, შემდგომი მოვლა) 	<p>ტექნიკური დახმარება</p>	<p>დონორები N/A</p> <p>1.09.2022</p>
--	--	----------------------------	--------------------------------------

დასკვნა

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება ნარჩენების მართვის სექტორში, კერძოდ: ქვეყანაში მოქმედი ნაგავსაყრელების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დახურვა, თანამედროვე სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობა და ოპერირება დაკავშირებულია მასშტაბური ინვესტიციების განხორციელებასთან. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საქმიანობა ითვალისწინებს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

ხათუნა ჩიკვილაძე
გეოგრაფიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ნარჩენების მართვა/ ნაგავსაყრელები მიმოხილვა

ნარჩენების მართვა წარმოადგენს საქართველოს წინაშე მდგარ როგორც ეროვნული, ისე რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის გამოწვევას.

საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 900 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება, საიდანაც 700 ათასი ტონა განთავსდება ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე. 2015 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში აღრიცხულია 56 მოქმედი/ოფიციალური ნაგავსაყრელი. მათგან 1 ნაგავსაყრელი - თბილისში, 2- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხოლო 53 ნაგავსაყრელი - ქვეყნის რეგიონებში.

კანონმდებლობის შესაბამისად („ადგილობრივი თვითმართვლობის კოდექსი“) მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებას საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება წარმოადგენს, თუმცა მუნიციპალური ნარჩენების მართვა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულ სტრუქტურას ექვემდებარება. თბილისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა მთლიანად შედის შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის“ პასუხისმგებლობის ქვეშ. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კი - შ.პ.ს. „სანდასუფთავება“, შ.პ.ს. „ჰიგიენა“ და მუნიციპალიტეტები. რეგიონების შემთხვევაში ნარჩენების მართვის პროცესზე პასუხისმგებლობას იწარმოებენ მუნიციპალიტეტები და შ.პ.ს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, რომელიც შეიქმნა 2012 წელს 100% სახელმწიფო წილით და მართვაში გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

დღეისათვის კომპანია მართავს საქართველოს რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო - ზემო სვანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი) არსებულ არასახიფათო მუნიციპალური ნარჩენების 53 მოქმედ ნაგავსაყრელს (საერთო ფართობი - 1 786 190 მ²). კომპანიის იურისდიქციას არ განე-



ნაგავსაყრდის მართვა

კუთვნილება ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაგავსაყრელების მართვა. კომპანიის მიზანს წარმოადგენს საქართველოს რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვა: არსებული ნაგავსაყრელების მოწესრიგება, მათი ეტაპობრივი დახურვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობა. კომპანიას აქვს 9 რეგიონული სამსახური.

საქართველოში

მუნიციპალური ნაგავსაყრელი მოწესრიგება

შედეგად

მნიშვნელოვნად შეამცირა გარემოში მავნე ფაქტორები

2012 წლიდან დაიწყო 28 ნაგავსაყრელი

ამასთან, კომპანიის იურისდიქციაში არსებულ ნაგავსაყრელებს შორის (53 არსებული/ძველი ნაგავსაყრელი) ორი რუსთავისა და ბორჯომის ნაგავსაყრელები წარმოადგენს ნებართვის მქონეს. აღსანიშნავია, რომ დასრულებულია 28 ნაგავსაყრელის მოწესრიგება, ხოლო 13 ნაგავსაყრელი შეჩერებულია. ყველა არსებული ნაგავსაყრელი შემოღობილია და დაცულია, რათა არ მოხდეს ობიექტებზე ადამიანებისა და შინაური ცხოველების მოხვედრა. ნაგავსაყრელები აღჭურვილია ახალი ტექნიკით (2014 წელს შეძენილი იქნა 16 ტრაქტორი და მუნიციპალიტეტების მიერ გადმოცემული იქნა 2 ერთეული სპეცტექნიკა), ნაგავსაყრელებზე მონყობილია საკონტროლო-გამშვები ჯიხურები, დამონტაჟებულია სასწორები (9), პოლიგონის ოპერატორების მიერ მიმდინარეობს ნარჩენების ვიზუალური კონტროლი და აღრიცხვა.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად („ნარჩენების მართვის კოდექსი“, 2014) სავალდებულოა არსებული არსახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების „შესაბამისობის გეგმების“ შემუშავება, განხორციელება, განსაზღვრული დროის შემდეგ ნაგავსაყრელების დახურვა და მათი შემდგომი მოვლა. კომპანია ახორციელებს აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის ეტაპობრივად შესრულებას.

დღესათვის, გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით) მიმდინარეობს „იმერეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი“. განხორციელების პერიოდი: 2014–2018. დასრულებულია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვე-



მო სვანეთის რეგიონებს და არსებული ნაგავსაყრელის დახურვა (ნაგავსაყრელი მდებარეობს ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე).

ასევე, KfW-თან საგრანტო ხელშეკრულების - „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი კახეთსა და სამეგრელო ზემო სვანეთში“ - ფარგლებში ხორციელდება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომლის შედეგების საუძველზე მოხდება ახალი რეგიონული ნაგავსაყრელებისა და სატრანსფერო სადგურების მშენებლობა კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში (2014-2018) განხორციელდა პროექტის - “ქვემო ქართლის ნარჩენების მართვა“- ნინასნარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. დაგეგმილია ქვემო ქართლში ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი, რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება 5 მუნიციპალიტეტს: ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა.

მიმდინარეობს მოლაპარაკება საფინანსო ინსტიტუტებთან მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების შესახებ, რომლის შედეგების საფუძველზეც მოხდება ახალი რეგიონული ნაგავსაყრელებისა და სატრანსფერო სადგურების მშენებლობა აღნიშნულ რეგიონებში.

სამომავლოდ დაგეგმილია საქართველოს მასშტაბით 8-10 ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რეგიონული ნაგავსაყრელის აშენება, რომელთაც სრულად უნდა უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსება.

აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ერთ-ერთ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს გარემოს დაბინძურება ნარჩენებით. 2010 წლის მაისიდან რეგიონში ოპერირებს არასახიფათო ნარჩენების მხოლოდ 2 ოფიციალური არსახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი. ქედის, შუახევის, ხულოს და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებიდან, ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზის გასწვრივ განლაგებულ ობიექტებიდან ნარჩენების (წლიური რაოდენობა 310 000 მ³) შეგროვება და ტრანსპორტირება ხდება ქალაქ ბათუმის ნაგავსაყრელზე, რომელიც განთავსებულია მდინარე ჭოროხის მიმდებარედ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების (40 000 მ³ წლიურად) განთავსება - ქობულეთის



შინაური ცხოველები ნაგავსაყრელზე

(2,5 ჰა) არასახიფათო/მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე. არც ერთ აღნიშნულ ნაგავსაყრელს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ გააჩნიათ, არა აქვთ არც ჩამდინარე წყლების შემკრები და გამწმენდი და არც გაზის შემკრები და გამწმენდი სისტემები. ამასთან, ნაგავსაყრელიდან პერიოდული წყალდიდობების შედეგად მყარი ნარჩენების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაირეცხება ზედაპირულ წყალში. ამდენად, მაღალია ნიადაგის, ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი, რადგან ნაგავსაყრელზე ხდება შინაური პირუტყვი და ცხოველი. ამასთან, ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ „ბეშუმში“ საკურორტო სეზონის დროს (2002 წლიდან, 0,03 ჰა ფართობზე) მოქმედებს ღია ტიპის ნაგავსაყრელი, სადაც დაახლოებით 500 მ³ -მდე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენის განთავსება ხდება სეზონზე.

გარდა არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელებისა, აჭარაში აღწერილია 70 სპონტანური, არაოფიციალური ნაგავსაყრელი. აღნიშნული მდგომარეობა გამომწვეულია იმ გარემოებით, რომ აჭარის მთიანეთში განლაგებული სოფლების ნაწილს დასუფთავების სერვისი არ მიეწოდება.

აღსანიშნავია, რომ EBRD გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილია ახალი, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის აშენება ქობულეთის მახლობლად (ქობულეთის მუნიციპალიტეტი დაბა ოჩხამური, სოფელი ცეცხლაური), რომელიც მოემსახურება აჭარის რეგიონს. აღნიშნული ნაგავსაყრელის მშენებლობაზე უკვე გაცემულია მშენებლობის ნებართვა, რომლის პირობებშიც ინტეგრირებულია დადებითი ეკოლოგიური დასკვნით განსაზღვრული პირობები. ამასთან, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ნაგავსაყრელების დახურვა.

თბილისში ოპერირებს ერთი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი, რომლის ფართობია 84 ჰა და მდებარეობს გარდაბნის რაიონში, ნორიოს თემის ტერიტორიაზე, სოფელ დიდ ლილოსთან, თბილისის სამოქალაქო აეროპორტიდან 7,5 კმ-ის და ვაზიანის სამხედრო აეროპორტიდან 10,65 კმ მანძილზე. ნაგავსაყრელის მშენებლობა დაიწყო 2010 წლის მარტში და 2011 წლის ნოემბერში ექსპლუატაციაში იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების



ნარჩენების ვაგანა ნვაკმზიდით ნვაკსაყრელზე

რების სამინისტროს მიერ.¹ ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის ვადა დაახლოებით 40–45 წელია.

ნაგავსაყრელი ემსახურება ქ.თბილისის, მარტყოფისა და ნორიოს მოსახლეობას. პოლიგონის ტერიტორიაზე ნარჩენების შეაქვთ ნაგავმზიდების საშუალებით საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით. მანქანებს უტარდებათ რადიაციული კონტროლი და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება (ნარჩენების იდენტიფიკაცია) და რაოდენობის აღრიცხვა (ტონა).

პოლიგონზე დამონტაჟებულია ნაჟური წყლის გამწმენდი მოწყობილობა: ნაჟური წყალი ჩაედინება სადრენაჟო გუბურებში, საიდანაც გადადის გამწმენდ ნაგებობებში და ინმინდება სასმელი წყლის დონეზე. განმენდის შედეგად ნარჩენი ლამი უჯრედში იმარხება.

¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სახელმწიფოს საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია; ბრძანება №121/01-05.

ნაგავსაყრელის მოსაზღვრე სოფლებში (დიდი ლილო, ზემო სამგორი-ნასაგური, ნორიო, წინუბანი), შეინიშნება უსიამოვნო სუნი და მომრავლებული მწერები, ალერგიული ფონი და ინფექციური მონამვლები. კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა ნაგავსაყრელის მდებარეობით, რაც ძირითდად გამოწვეულია სუნის პრობლემით, რაც სავარაუდოდ ღია სივრცეში განთავსებული საკონტროლო გუბურის არსებობით არის განპირობებული. ამდენად, ნაგავსაყრელზე აირატორებისა და გაზის შემკრების დამონტაჟება გადაუდებელი ღონისძიებას წარმოადგენს.

მოქმედი ნაგავსაყრელის გარდა დედაქალაქში აღრიცხულია 2 ძველი, დახურული ნაგავსაყრელი - გლდანისა და იაღლუჯის, რომელთა საერთო ფართობი უტოლდება 24 ჰა. აღნიშნული ნაგავსაყრელები არ პასუხობდნენ სანიტარულ-ეკოლოგიურ მოთხოვნებს, ახალი ნაგავსაყრელის აშენების შემდეგ განხორციელდა მათი კონსერვაცია, თუმცა დახურვა და დახურვა შემდგომი მოვლის ღონისძიებები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, გასატარებელია.

ქვეყანაში, გარდა აღწერილი ოფიციალური არსახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებისა, ბევრი უნებართვო და არაკონტროლირებადი სტიქიური ნაგავსაყრელია.

ასევე, დღეისათვის საქართველოში არც „არსებული ნაგავსაყრელის“ სტატუსის მქონე და არც ნებართვის მქონე ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი არ ოპერირებს. შესაბამისად, ინერტული, მათ შორის, სამშენებლო ნარჩენები ნაწილობრივ განთავსდება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე, ან გამოიყენება გარკვეული ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისას ამოვსებითი/მოსწორებითი სამუშაოებისათვის.

ქვეყანაში არ არის მოქმედი სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი, აღრიცხულია მხოლოდ ერთი გასული საუკუნის 80-იან წლებში დახურული იაღლუჯას მთაზე არსებული სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი.

ოფიციალური სტატისტიკა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემადგენლობისა და რაოდენობის შესახებ, ქვეყანაში არ მოიპოვება. მხოლოდ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ჩატარებული კვლევებსა თუ ექსპერტული შეფასებებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი ნარჩენების შემადგენლობის შესახებ ფრაგმენტული ინფორმაციის მოპოვება.

ხათუნა ჩიკვილაძე

გეოგრაფიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი



ნარჩენების მართვა ადგილობრივი მნიშვნელობის ვაჟაძეებს!

სარედაქციო კოლეგია: მარიამ ქიმერიძე
მანანა გიქოშვილი
ნამი ზუბაშვილი
დიზაინი: თამარ ტყაბლაძე

www.cleanup.ge
www.orkisi.ge



პროექტი „დავასუფთავოთ საქართველო“ (ფაზა III)
ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით,
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტროს მხარდაჭერით, შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების
მართვის კომპანიასთან“ თანამშრომლობით

